ურთიერთგაგების მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

საქართველოს სტრატეგიისა და
საერთაშორისო ურთიერთობათა
კვლევის ფონდს

შორის

ურთიერთგაგების მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდს შორის

ქ. გორი „28" 02 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში - აკადემია) - წარმოდგენილი რექტორის -პოლკოვნიკ ზაზა ჯაფარიძის სახით და მეორე მხრივ, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი (შემდგომში - ფონდი) წარმოდგენილი პრეზიდენტი ეკატერინე მეტრეველი სახით (შემდგომში - მხარეები), გამოხატავენ რა აკადემიასა და ფონდს შორის ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.
მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია აკადემიასა და ფონდს შორის დამყარდეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას, აკადემიური (სამხედრო ინსტრუქტორები) და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და გადამზადებას, მათი პროფესიონალებად ჩამოყალიბების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისა და პოროვნული პოტენციალის რეალიზაცის პროცესს.

მუხლი 2.

მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობით მხარეები უფლებამოსილნი არიან:

ა) განახორციელონ არსებული პროგრამების გარე ექსპერტიზა;

ბ) ორგანიზება გაუწიონ ერთიანი ლექცია-სემინარების ჩატარებას თემატურ საკითხებზე;

გ) განახორციელონ პროფესიული განვითარების პროგრამები და პროფესორ მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარების ერთობლივი სემინარები;

დ) განახორციელონ ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები და სხვა კულტურული თუ შემეცნებითი აქტივობები;

ე) განახორციელონ ერთობლივი საზაფხულო სკოლები;

ვ) განახორციელონ ერთობლივი გასვლები რეგიონებში და შეხვედრების ორგანიზება ადგილობრივ ახალგაზრდებთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით;

ზ) განავითარონ ერთობლივი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა.

მუხლი 3.

დამატებითი პირობები

1. ეს მემორანდუმი დაფუძნებულია მხარეთა კეთილ ნებაზე. ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე და არ ითვალისწინებს ფინანსურ ვალდებულებებს მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის პროცესში.

2. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და უნდა განხორციელდეს მანამ, ვიდრე ერთ-ერთი მხარე წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეწყვეტის სურვილის შესახებ;

მუხლი 4.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

1. ცალკეული ღონისძიებების ჩატარება და სხვა სახის ერთობლივი მოქმედების განხორციელება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკების შესაბამისად ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;
2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისათვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
3. ამ მემორანდუმის გაუქმების შემთხვევაში მხარეებმა შესაძლებლობის ფარგლებში მილევად რეჟიმში უნდა დაასრულონ ყველა ერთობლივად დაწყებული ღონისძიება;
4. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენებზე და ძალაშია ერთი წლის მანძილზე მისი ხელმოწერის დღიდან. ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხარეთა შეთანმხების საფუძველზე.

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის	საქართველოს სტრატეგიისა
საქართველოს ეროვნული თავდაცვის	და საერთაშორისო ურთიერთობათა
აკადემიის რექტორი	კვლევის ფონდის პრეზიდენტი
პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე	**ქალბატონი ეკატერინე მეტრეველი**

Memorandum of Understanding

between

LEPL - Davit Aghmashenebeli
National Defense Academy
of Georgia

and

Georgian Foundation for Strategy
and International Studies

Memorandum of Understanding

between

LEPL - Davit Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia and

Georgian Foundation for Strategy and International Studies

Gori „28" 02 2018.

On the one hand, the LEPL - Davit Aghmashenebeli National Defense Academy (hereinafter - the Academy) - represented by the Rector - Col. Zaza Japaridze and on the other hand, the President of Georgian Foundation for Strategy and International Studies (hereinafter - the Fund) presented by Ekaterine Metreveli (hereinafter - Parties), expressing the desire to cooperate between the Academy and the Fund, within the scope of their authority, have agreed as follows:

Article 1.

The Aim of the Memorandum

The purpose of this MOU is to establish close partnership between the Academy and the Fund to promote the improvement of the educational programs, professional development and retraining of the academic (military instructors) and administrative staff, the process of professional development, obtaining practical skills and realization of personal potential.

Article 2.

The Rights and Obligations of the Parties

1. On the basis of the objectives of this MOU the Parties are entitled to:
   a) Conduct external examination of existing programs;
   b) Organize joint lectures and seminars on thematic issues;

c) Implement professional development programs and conduct joint seminars for sharing the experiences of faculty members;

d) Conduct joint scientific conferences and other cultural and educational activities;

e) Implement joint summer school programs;

f) Organize joint visits in regions and organize meetings with the local youth in order to raise awareness on safety and defense issues;

g) Develop joint scientific-research activities.

Article 3

Additional Terms

1. This MOU is based on the free will of the Parties. Any issue shall be resolved on the basis of negotiation and does not provide any financial obligations in the process of mutual cooperation of the Parties.

2. This MOU shall enter into force from the date of its signature and shall be carried out untill one of the Parties notifies the other Party on the desire to terminate the obligations undertaken by this MOU;

Article 4

Transitional and Final Provisions

1. Conducting separate events and implementing other joint actions shall take place on the basis of bilateral agreement in accordance with the further negotiations between the Parties;

2. Any Party may request cancellation of this MOU on the basis of the written notification to the other Party 30 (thirty) days prior to the cancellation.
3. In case of cancellation of this MOU the Parties shall complete all jointly initiated measures within the possibilitiy in the phasing out mode;
4. This MOU is drawn up in two originals in Georgian and English languages. All two originals are identical and have equal legal value and are valid for one year from its date of signing. The period of validity can be extended upon mutual agreement of the Parties.

LEPL - Davit Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia	Georgian Foundation for Strategy and International Studies
Rector	President
Col. Zaza Japaridze	**Mrs. Ekaterine Metreveli**